პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 22 ივლისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე [ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

163 (861) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მნიშვნელოვანი ამოცანები.

ახლოვდება 1924 წ. გაზაფხულზე გამოწვეულ წითელარმიელების უვადო შვებულებაში წასვლის დრო. ეს გარემოება სავსებით უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა სამხკორებმა. და აი რატომ.

ჯერ ერთი ბევრი წითელარმიელი-სამხკორი ამ შვებულებასთან დაკავშირებით წავა სახლში. იქ სოფელში მას მოელის დიდი მუშაობა. წითელარმიელმა-სამხკორმა არას დროს არ უნდა დაივიწყოს, რომ წითელ ჯარში სამსახურის გათავების შემდეგ ის ხდება მუშკორი ან გლეხკორი. ეს კი უდიდესი მოვალეობაა. გლეხკორი, სამხკორი და . მუშკორი ყველა ესენი საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლები არიან ისინი თავისი კორესპონდენციებით, თავისი აქტიური თანამშრომლობით პარტიულ-საბჭოთა პრესაში ეხმარებიან პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ყველა დასახულ ამოცანების განხორციელებაში.მუშკორი და გლეხკორი ფხიზელი დარაჯი არიან მშრომელთა კეთილდღეობის, ისე როგორც სამხკორი წითელი არმიისა.

სოფლად დღეს დიდი სამუშაოა. უვადო შვებულებაში წასულ სამხკორსაც დიდი მუშაობა უძევს წინ. ამიტომაც მან ენერგიულად უნდა ემზადოს ამ მუშაობისათვის. ის უნდა გაეცნას ყველა იმ ღონისძიებებს, რომელსაც დღეს ატარებს საბჭოთა ხელისუფლება სოფლად. ეს მზადება უნდა სწარმოებდეს სამხკორთა წრეებში.

მეორე მთავარი ამოცანა, რომელიც სდგას შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალ სამხკორების წინაშე არის შესაფერი მემკვიდრეების დატოვება. მათ თავისი მაგიერი უნდა დასტოვონ წითელ ჯარში შემოდგომაზე გაწვეულ წითელ მოლაშქრეებიდან. ამ მიზნით საჭიროა სამხკორთა წრეების მუშაობის გაძლება ნაწილებში, სამხკორის მნიშვნელობის და მის როლის ფართედ გაშუქება წითელ-არმიელთათვის.

მათ უნდა აეხსნას სამხკორთა მუშაობის შინაარსი და მისი აუცილებელი საჭიროება ჩვენი წითელი ჯარის საკეთილდღეოთ.

ასეთია მოკლედ ორი მთავარი ამოცანა, რომელიც ამ მოკლე ხანში სავსებით უნდა განახორციელოს შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალმა წითელ-არმიელმა სამხკორმა. სამხკორი უნდა ემზადოს სოფლად მუშაობისათვის და მეორეს მხრივ უნდა იზრუნოს თავის ნაცვლად ორი ახალი სამხკორი დასტოვოს.

ეს ამოცანები არც ისე იოლი არის. დრო კი ცოტა დარჩა. საჭიროა მათ განხორციელებას დაუყონებლივ შეუდგენ შვებულებაში მიმავალი სამხკორები.

## ისტორიული თარიღი.

15 ივლისი საქართველოს და ოსეთის მშრომელი ხალხის ისტორიაში წითელ ასოებით ჩაიქსოვება.

ეს დღე კიდევ ერთხელ დაადასტურებს კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების სწორ ნაციონალურ პოლიტიკას.

15 ივლისი ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქების გაერთიანების დღეა—საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში.

სრ. საქართველოს ცაკმა დაადასტურა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება მთლიან სახელმწიფოდ.

ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ყრილობამ დაადგინა მოქცეულ იქნას ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში (ჩრდილოეთ ოსეთი აქამდის ჩრდილოეთ კავკასიის შემადგენლობაში იყო).

ოსეთი—მთიული ქვეყანაა, სადაც გზების საქმე მოუწესრიგებელია. უპირველესი ამოცანაა: გზების გაუმჯობესება, რაც გაადვილებს მიმოსვლას ცენტრთან და კულტურულ მოსახლეობასთან.

სამხრეთ ოსეთს პურის ნაკლებობის გამო გამოაქვს უკანასკნელი ჩრდილო ოსეთიდან, მხოლოდ ჩრდ. ოსეთს კი—სამხრეთ ოსეთიდგან სატყეო მასალა; ასეთია ეკონომიური ურთიერთობა ამ ორ ავტონომიურ ოლქისა.

ოსეთში მთლიანათ მოსახლეობა შეიცავს 285.000 სულს; აქედან 200.000—ჩრდილო ოსეთისა,—ხოლო 85.000 სული კი—სამხრეთისა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ოსეთში იწყება გასაბჭოების შემდეგ, როცა ბოლო მოეღო მენშევიკების სისხლიან პოლიტიკას. ქალ. ცხინვალში გამოდის ოსური გაზეთი—ლათინურ შრიფტით და გახსნილია სკოლები.

ამ ორ ავტონ. ოლქების გაერთიანებას აუცილებლივ უნდა მოყვეს ენის გაერთიანებაც, ვინაიდან ოსეთში ჯერ კიდევ არსებობს ორი კილოკავი: ტაგაურის და დიგორის. ეს ერთ-ერთი საშუალება იქნება კულტურულ აღორძინებისათვის ოსეთის მშრომელთა კლასისათვის.

ოსეთის მშრომელებს, ისე როგორც სხვა პატარა ერებს, თვითმპყრობელობა სასტიკად სჩაგვრიდა და აწიოკებდა.

მენშევიკური დიქტატურის ხანამაც ოსეთის მშრომელ ხალხში დასტოვა მხოლოდ მწარე წარსულის მოგონებანი. ყოველ პატიოსან ოსს ახსოვს მენშევიკების გვარდიელების ექსპედიცია ცხინვალზე.

ოსეთის ავტ. რესპუბლიკის მოქალაქეს შთაბეჭდილი აქვს გონებაში „მაუზერისტების“ ნადირობა ოსეთის გლეხებზე. ნაციონალურ მტრობას და შურს ბოლო მოეღო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ნაციონალურ უმცირესობას უფლება მიანიჭა მხოლოდ კომპარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ.

მრავალწლების წინად ხელოვნურად ორად გათიშული ოსეთი კვლავ გაერთიანდა ერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ეს გაერთიანება უფრო სწრაფად წაიყვანს მას აღორძინების გზაზე, განავითარებს მის საწარმოო ძალებს, ასწევს მას ეკონომიურად და კულტურულად.

გაუმარჯოს გაერთიანებული ოსეთის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკას.

გაუმარჯოს მის საქმიან და ნაყოფიერ მუშაობას ოსეთის მშრომელთა საკეთილდღეოთ.

დ. ჰანტურიშვილი.

*) სხვა და სხვა ტეხნიკური მიზეზების გამო ეს წერილი გადის დაგვიანებით.

რედაქცია.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

### „ჩვენ ვეტყვით სიმართლეს გერმანიის მუშებს საბჭოთა კავშირის შესახებ“.

გერმანიის მუშათა დელეგაცია აღფრთოვანებითა და ინტერნაციონალის სიმღერით გააცილა მუშებმა ლენინგრადიდან.

გაცილებისას დელეგაციამ მიმართა ლენინგრადის მუშებს. მიმართვაში ისინი აღნიშნავდენ მრეწველობის განვითარებასა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებას ვიხმართ—განაცხადეს დელეგატებმა—რათა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ვერ დაიმონოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი. რაც იწერებოდა ბურჟუაზიულ გაზეთებში, მტკნარი სიცრუეა. ჩვენი წამოსვლა საბჭოთა კავშირში მით უფრო საჭირო იყო, რათა აღვვედგინა გერმანიაში სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ.

## შვეციის დელეგაცია ლენინგრადში.

შვეციის დელეგაციის თავმჯდომარემ ჩილბუმმა განცვიფრება გამოსთქვა საბჭოთა რესპუბლიკების გიგანტურ წარმატებებით.

დელეგატი მივგოლი იმდენად აღტაცებულია ნახულით, რომ აცხადებს: „მოსკოვში მე მივიღებ ყოველგვარ ღონისძიებას, რომ დავრჩე რუსეთის მუშებს შორის“-ო.

დელეგაცია დაიყო პროფესიების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად და 20 ივლისს გამოემგზავრა მოსკოვში.

## ჩინეთის ამბების გარშემო.

## მატყუარა პრესის წინააღმდეგ.

შანხაიში ძლიერი მოძრაობა წამოიჭრა ორ ადგილობრივ გაზეთის წინააღმდეგ, რომლებმაც მუნიციპალურ საბჭოს ზეგავლენით მოათავსეს ინგლისის სასარგებლო ცნობები კანტონის ამბების შესახებ.

## ამხ. ბუდიონი ტფილისში.

20 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა რევ. სამხ. საბჭოს წევრი და წითელი კავალერიის ინსპექტორი ამხ. ბუდიონი. გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ბუდიონი შეეხო წითელი არმიის ტერიტორიალურ სისტემას, აღნიშნა მისი კარგი, ხელსაყრელი მხარეები მოსახლეობისათვის და საერთოდ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საქმეში და განაცხადა:



**„რომ ტერნაწილებმა აასრულონ თავიანთი ამოცანა, საჭიროა ფართე და აქტიური დახმარება პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანიზაციების მხრივ ადგილებზე“.**

შემდეგ ბუდიონი შეეხო წითელი არმიის სხვა საკითხებს, მეთაურთა შემადგენლობის მომზადებას და განაცხადა: **„ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა ასრულებს ყველაფერს, რასაც კი მოითხოვს მისგან ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო ქვეყნის დაცვის საქმეში, ვინაიდან მან საგრძნობი ნაბიჯი გადასდგა წინ სამხედრო ხელოვნების შესწავლის საქმეში.**

დასასრულ ის შეეხო კაპიტალისტების საომარ ზრახვებს და განაცხადა: „ომი არ გვინდა, მაგრამ თუ თავს დაგვესხმიან, ჩვენ ჯეროვან პასუხს გავცემთ მათ.“

——

ბუდიონიმ ინახულა კ. წ. დ. არმიის ოლიმპიადა ლენინის სტადიონზე, რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

გუშინ ბუდიონი გაემგზავრა კავკასიის ბრიგადის ბანაკში.

გაერთიანებულმა კომიტეტმა ჯარიმა გადაუწყვიტა (10 ათასი დოლარი) რედაქციებს გაფიცულთა სასარგებლოდ.

რედაქციებმა უარი განაცხადეს ჯარიმას გადახდაზე.სტამბის მუშები შეუდგენ საგაფიცვო მზადებას.

## ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის.

ინგლისის ელჩმა პეკინში მოსთხოვა ჩინეთის მთავრობას გაზეთ „მინბაოს“ დახურვა „ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის“

## მაკდონალდი სცნობს, რომ „ზინოვიევის წერილი“ განგებ შეთხზული ყალბი საბუთი იყო.

სამთო-მადნო მუშების დემონსტრაციაზე გამოსვლის დროს მაკდონალდმა განაცხადა, რომ უკანასკნელ არჩევნებზე რეაქციამ შეგნებულად მოატყუილა ამომრჩევლები. როცა კონსერვატორები განგაშებდენ ზინოვიევის წერილის გარშემო, იმათ იცოდენ, რომ ის ყალბი იყო.“

შეკითხვაზე იყო თუ არა ზინოვიევის წერილი ნამდვილი, მაკდონალდმა უპასუხა: „არა ის არ ყოფილა ნამდვილი და ეს ყველაზე უკეთ თვით კონსერვატიულმა პარტიამ იცის.“

## დაიწყო რურის ოლქის ევაკუაცია.

საოკუპაციო ჯარებმა 19 ივლისს დასცალეს ქალაქები ბოხუმი, ვიტტენი, გიტტინგენი და ოსტესფელდი. ევაკუაცია მშვიდობიანად ჩატარდა.

აღნიშნულ ქალაქების დაცლით დაიწყო რურის ოლქის ევაკუაცია.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე.

16 ივლისის სხდომის გაგრძელება.

კილასონია.

ყოფილი მენშევიკი, მაგრამ ეხლაც მენშევიკების მომხრე. 1921-22 წელს ის ყოფილა ტფილისის მაზრის მენშევ. კომიტეტის თავმჯდომარე. ის მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩოლოყაშვილთან რა ილაპარაკა მან ჩოლოყაშვილთან არავინ იცის; თვითონ კი აცხადებს, რომ მე ურჩიე ჩოლოყაშვილს თავი დაენებებია გამოსვლებისთვის და გასცლოდა დუშეთის მაზრასო.

აშკარად სჩანს, რომ მენშევიკურ პარტიას იმ თავითვე უწარმოებია მოლაპარაკება ჩოლოყაშვილთან, თუმცაღა ის (მენშ. პარტ.) უშვებდა ფურცლებს და უარყოფდა ამ ბანდიტთან კავშირს.

ნოე ცინცაძე.

ცინცაძე რკინისგზის „ოხრანაში“ მუშაობდა. მენშევიკებმა აქ გაიჩინეს ბუდე და მოაწყვეს პარტიული უჯრედები და გაიხადეს ყაჩაღური მუშაობისთვის მზადება, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცინცაძე.

„მე შევატყვე, რომ ამ ხალხთან კავშირით წუმპეში ვეფლობოდი და ამიტომ, ბოლოს გავსწყვიტე მათთან ყოველივე დამოკიდებულებაო“-ამბობი ცინცანძე.

ამ მოწმის ჩვენებაც აშკარა საბუთია იმის, რომ პარიტეტულ კომიტეტს ყოველი ჯურის ბანდებთან კავშირით სურდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“.

17 ივლისის საღამოს სხდომის დასასრული.

ალექსანდრე გიორგისძე ანდღულაძე.

22 წლის, „სხიველების“ ცენტრალური კომიტეტის წევრი.

— „სხიველების“ მენშევიკური პარტიიდან გამოთიშვის მიზეზად ასახელებდენ იმ გარემოებას, რომ იქ ზურგს უკან სწყვეტენ ყოველგვარ საკითხსო. მე უნდა ვაღიარო, რომ „სხიველებიც“ არ იყვნენ ამ სენისაგან თავისუფალი. შემდეგ ის ადასტურებს „სხიველების“ შეერთებას მენშევიკებთან და ამბობს, რომ ხოჭოლავას გარდა მის სიკვდილამდი და შემდეგაც პარიტეტულ კომიტეტში დადიოდენ იმნაიშვილი, ნინიძე და გიორგაძე.

18 ივლისის დილის სხდომა.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

მოწმე მეგრელიშვილი (უზენაეს სასამართლოს წევრი) რომელიც გამოსვლების დროს გურიაში ყოფილა, უამბობს სასამართლოს აღმოსავლეთ გურიაში მომხდარ ამბებს.

მოწმე მიხეილ ნიკოლოზის-ძე მახვილაძე.

ყოფილი „სხიველი“, ცეკას წევრი და ტეხნიკური მდივანი 1921 წლიდან 1923 წლის დამლევამდე, ეხლა, როგორც თვითონ აცხადებს, უპარტიო.

— პირველად პარიტეტში ჩვენგან მუხრან ხოჭოლავა შედიოდა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, არ ვიცი შედიოდენ სხვა ამხანაგები თუ არა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე-ესწრებოდა თუ არა ის „სხიველების“ ცეკას ყველა სხდომებს და მან როგორც მდივანმა უნდა იცოდეს თუ არა თავის პარტიის საქმეები, მახვილაძე ადასტურებს ამას, მაგრამ შემდეგ მაინც ცდილობს არ გაუმხილოს სასამართლოს საქმის ნამდვილი ვითარება.

ბრალმდებელი ოკუჯავა. სანამ პარიტეტში შეხვიდოდით, ალბად, გქონდათ მსჯელობა ამ საკითხის შესახებ.

მოწმე უპასუხებს, რომ საკითხი დასმული იყო ისე, რომ უნდა მომხდარიყო საქართველოს განსაბჭოება („დესოვეტიზაცია“) არა შინაური აჯანყებით, არა გარეშე ძალის შემოსვლით, არამედ ერთგვარი ეკონომიური გართულებით, რომელიც მოსალოდნელი იყო.

პარიტეტულ კომიტეტს ხელი უნდა შეეწყო ამისთვის და ძველი მთავრობის აღდგენის წინააღმდეგ უნდა წასულიყო.

გვეშინოდა, თუ ვინიცობაა წითელი ჯარი წავიდა, თავს წამოყოფენ ბოროტმოქმედი პირები და გვინდოდა ასეთ შემთხვევაში ხალხისთვის პატრონობა აღმოგვეჩინა.

ხომერიკის ჩამოსვლის შემდეგ „სხიველებში“ ფეხი მოიკიდა მენშევიკებისკენ ლტოლვამ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ნიადაგზე“.

რაც შეეხება ჩოლოყაშვილის ბრბოს-ამბობს მოწმე,-ჩვენთვის ძნელი იყო იმის გადაწყვეტა, თუ ვის მიერ იყო ის მოწყობილი.

საერთოდ მოწმე მახვილაძე ცდილობს თავიდან აიცილოს სასამართლოს მიერ მოცემული კითხვები და ერთხელ რომ დასტურს ამბობს, მეორეხელ „არ ვიცი“, „არ მახსოვს“ და სხვა ასეთებს იშველიებს.

მოწმე ბიქტორ თევზაია, მენშევიკების ცეკას წევრი, ეხლა უპარტიო.

— პარიტეტული კომიტეტის შედგენაზე მე მსმენია დაახლოებით 1922 წლის გაზაფხულზე. უნდა ერთგვარი შეთანხმება მომხდარიყო საქართველოს პარტიებს შორის და არ გამოსულიყვენ ერთმანეთის წინააღმდეგ. როცა არსებული ხელისუფლება იძულებული იქნებოდა მიეტოვებია საქართველო, პარტიები უნდა ყოფილიყვნენ მზად ხალხის საპატრონოდ.

პარიტეტული კომიტეტი არ ისახავდა მიზნად პირველად აჯანყების მოწყობას, მაგრამ ბოლოს ის მაინც ამ გზას დაადგა.

საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომაზე სასამართლო აკმაყოფილებს ბრალდ. ქარცივაძის შუამდგომლობას განმარტების შესახებ—თუ როგორ ჩაისახა პარიტეტული კომიტეტი. ის ცდილობს დაახასიათოს პარიტეტული კომიტეტი, როგორც უვნებელი და ულაჯო ორგანიზაცია, სადაც პარტიების წარმომადგენლები მხოლოდ „მუსაიფობდენ“, საქმეს კი პარტიები აკეთებდენო. ბრალდებული არ უარყოფს აგრეთვე სამხედრო ცენტრის არსებობას, მაგრამ ცდილობს ეს ორგანიზაციაც ისე დაახასიათოს, თითქოს იქ მსჯელობისთვის უფრო იყვენ თავშეყრილი, ვინემ გარკვეული საქმის გასაკეთებლად.

მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას ყოფილი წევრი.

— ჩვენმა პარტიამ მუშაობა დაიწყო 1922 წლის დამლევს. პარიტეტში შესვლაზე ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებდენ ს. დემოკრატები. ჩვენ დიდხანს ვიდექით უარზე, მაგრამ შემდეგ გავგზავნეთ ჩვენი წარმომადგენლები.

შემდეგი ჩვენებიდან ირკვევა, რომ ჩოლოყაშვილის ბრბო პარიტეტულ კომიტეტის სრულ განკარგულებაში ყოფილა.

ამას გარდა სხვა და სხვა პარტიებს თურმე ბრძოლა ჰქონდათ პარიტეტში, რომ ჩოლოყაშვილი თავისკენ გადმოებირებიათ.

ჯავახიშვილის შემდეგ გამოძახილ იქნა ყოფილი მენშევიკი, არალეგალურ ცეკას რწმუნებული ბორჯომის რაიონში —ვანო ხმალაძე.

20 ივლისის დილის სხდომა.

ვ. ხმალაძეს იძლევა ჩვენებას, თუ როგორ გაუბამს კავშირი პარიტეტულ კომიტეტს ჩრდილოეთ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან და როგორ სწარმოებდა მატარებლებზე და დაწესებულებებზე თავდასხმები ფულის გატაცების მიზნით.—ერთხელ ამბობს ის—ძაძამიამ მომწერა —ჩიტი მოფრინავს დაიჭირეთო.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ბუდუ მდივანი უნდა გაგვეტაცებია.

ივანე ქავჟანიძე.

— მე და რამოდენიმე ამხანაგს დავალება გვქონდა ბორჯომის ახლოს ლიანდაგი აგვეყარა მტკვარში გადაგვეგდო სამხედრო მატარებელი. მაგრამ საქმე არ მოეწყვო მატარებლების განწესების შეცვლის გამო.

დ. ბატონისაშვილი.

—პარტიის სახელით მე დამავალეს თავდასხმების მოწყობა ფულის გატაცების მიზნით. საჭირო იყო დაპატიმრებულ ამხანაგებზე დახმარება, რომლების ცოლშვილი გაჭირვებას განიცდიდენ.

ჩვენ შესაძლებლად დავინახეთ თავდასხმების მოწყობა, მაგრამ არა სახელმწიფო დაწესებულებებზე. ჩვენ გადავსწყვიტეთ სურამის ახლოს მატარებელზე თავდასხმა. მაგრამ გზაში ჩეკის აგენტებმა დაგვაპატიმრეს. ჩვენ ვთხოვეთ პარტიას დაგვეხმარეთ როგორმე არ დაგვხრიტონო, მაგრამ პასუხად მივიღეთ: „პარტიის სახელით ვერაფერს ვიზამთ სახელი გაუტყდება, დეე თქვენ დაგხვრიტონ, მაგრამ როცა გავიმარჯვებთ, გმირებად ჩაგთვლითო.

# არმიის თათბირი.

## ეროვნულ და ტერდივიზიებში მუშაობის შესახებ. გამომცემლობა და სამხკოლთა მუშაობა.

(გაგრძელება).

მთლიანი ხელმძღვანელობა საგამომცემლო მუშაობაში უნდა გადატანილ იქნას სრულიად კ. წ. დ. ა. სარედაქციო საგამომცემლო კოლეგიაში, რომელიც გამოიმუშავებს მთლიან საწარმოო საგამომცემლო გეგმას სადაც თავის მუშაობას შეუფარდებს ეროვნულ ნაწილების სამხედრო-პოლიტიკურ მომზადების მოთხოვნილებას, ცენტრის დარიგებებსა და მოთხოვნილებებს ადგილებიდან.

პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემა დაკავშირებულ უნდა იქნას ეროვნულ რესპუბლიკების სახელგამებთან.

ანჩარსკისა და ეგიკოვის მოხსენების გარშემო კამათი არ იხსნება. საკითხის დამუშავება გადატანილ იქნა საგიტპროპაგანდო სექციაში.

ეროვნულ სამხედრო-პოლიტსკოლების შესახებ.

ამხ. გრიშენკოვის მოხსენება.

ვინაიდან, როგორც რიცხვობრივად, ისე თვისებრივად ეროვნულ დივიზიებს არ მოეპოებათ პოლიტხელთა საკმაო რაოდენობა, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეროვნულ დივიზიების პოლიტშემადგენლობის მომზადებას.

გაძლიერებულ უნდა იქნას ეროვნული პოლიტსკოლები მასწავლებლებით, გაუმჯობესებულ იქნას სკოლების მატერიალური მდგომარეობა, გაგრძელებულ იქნას სწავლის ვადა 3 წლამდი, გადიდებულ იქნას ქართული სამხპოლიტსკოლის მსმენელთა რაოდენობა.

ეროვნული სამხპოლიტსკოლები უნდა ამზადებდენ პოლიტხელებს, ხოლო სხვა მომუშავეთა მომზადება (საბიბლიოთეკო, კლუბის) უნდა სწარმოებდეს სპეციალურ სამხედრო სკოლების საშუალებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კურსანტების თვისებრივ შერჩევას.

ეროვნულ სამხპოლიტსკოლებში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს პოლიტცოდნის კურსმა. სკოლების სასწავლო გეგმად პროგრამები ძირითადად უნდა იყოს ისეთივე, როგორც საოლქო სამხედრო პოლიტსკოლებში, ზოგიერთი დამატებით, რომლებიც გამომდინარეობენ ეროვნულ დივიზიების თავისებურობათაგან.

ეროვნულ სამხპოლიტსკოლასა და ადგილობრივ საბჭოთა პარტსკოლებს შორის დამყარებულ უნდა იქნას მჭიდრო კავშირი გამოცდილების გაცვლა-გამოცვლისა, მუშაობის გამოცოცხლებისათვის და სხვა.

კამათისა და გრიშენკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ 18 ივლისის სხდომა იხურება.

19 ივლისს სწარმოებდა სექციების მუშაობა და თათბირის საბოლოო სხდომა.

მ.

# წესი

შუამდგომლობის აღძვრისა იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც განიცადა მოსახლეობამ სამოქალაქო ომის პერიოდში სამხედრო უწყების მიერ ქონების რეკვიზიციის გამო.

1925 წლის 20 მაისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რათა სამხედრო უწყებამ დააკმაყოფილოს მოსახლეობის პრეტენზიები სამოქალაქო ომის პერიოდში კ. წ. დ. არმიის საჭიროებისათვის ჩამორთმეულ ქონებაში.

თანახმად დადგენილებისა განხილული არ იქნებიან ის პრეტენზიები, რომელთა შესახებ არ შეტანილა განცხადება 1924 წლის 1-ლ სექტემბრამდი; რაც შეეხება აღნიშნულ ვადამდი შეტანილ პრეტენზიებს, ასეთები განიხილებიან ადგილებზე სამხედრო სალქო თათბირების შემდეგ.

მაშასადამე, ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრებში მცხოვრებლებმა, რომელთაც აქვთ პრეტენზიები სამოქალაქო ომის დროს კავკასიის წითელ დროშოსან არმიის სასარგებლოდ ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების შესახებ და რომელთაც წარმოუდგენიათ სათანადო განცხადებები 1924 წლის 1-ლ სექტემბრამდი, უნდა იცოდენ, რომ მათ პრეტენზიებს განიხილავს კ. წ. დ. არმიის სამხედრო-საარმიო თათბირი, რომლის საქმეთა სამმართველო იმყოფება ქ. ტფილისში ჯორჯიაშვილის ქუჩა, № 10, სადაც უნდა მიმართონ ცნობების მისაღებად. მუშურ გლეხური წითელი არმიის სამმართველოში ან სამხედრო უწყების სხვა ცენტრალურ ორგანოებში მიმართვა ზედმეტი, უნაყოფო და უბრალო დროს კარგვა იქნება.

ასეთივე უნაყოფო იქნება ამა თუ იმ საკითხის აღძვრა რეკვიზიციის შესახებ, თუ რომ ეს საკითხები არ ყოფილან აღძრული 1924 წლის 1-ლ სექტემბრამდი, ე. ი. თუ ამ ვადამდი არ ყოფილა განცხადებული პრეტენზიები.

# სამხედრო საქმე

ათეულებს შორის სროლის შეჯიბრის პირობები.

სროლაში შეჯიბრზე თვითეულ ასეულიდან დაშვებულ იქნება თითო ათეული: მსროლელი, თოფ-ტყვიამრქვევის და დაზგის ტყვიამრქვევის ათეულები. ნაწილის უფროსი თვითონ არჩევს, თუ რომელი ათეულები უნდა გავიდენ შეჯიბრზე, მაგრამ აუცილებლად იმათ რიცხვიდან, რომელთაც გაუვლიათ პრაქტიკული სროლის კურსი თავისი იარაღიდან. ათეულები გამოდიან შეჯიბრზე აუცილებლად საკუთარი შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით.

თვითეულ შეჯიბრის დროს შაშხანაზე ეძლევა 5 ვაზნა, თოფ-ტყვიამფრქვევზე—25 და დაზგის ტყვიამფრქვევზე—75.

თვითეული ათეულის უფროსი ღებულობს ტაქტიკურ ამოცანას. ამოცანაში ნაჩვენებ გარემოების მიხედვით წინასწარ მოწყობილ იქნებიან სანიშნოები, მეტ ნაწილად ისეთები, რომლებიც უცებ ჩნდებიან და მიიმალებიან. სანიშნოები შეხამებულ უნდა იქნან ადგილმდებარეობასთან. მსროლელ და თოფ-ტყვიამფრქვევის განყოფილებებისთვის სანიშნოები მოეწყობიან 1.000 ნაბიჯის მანძილამდი, ხოლო დაზგის ტყვიამფრქვევის განყოფილებებისათვის—1500 ნაბიჯამდი.

საერთოდ იქნება სინამდვილესთან დაახლოებული საბრძოლო გარემოება. მაგალითად ათეულს აჩვენებენ მტრის მიერ დაკავებულ ზოლს და უბრძანებენ იერიშზე გადასვლას და სხვა. ან პირიქით, ჩვენს ათეულს უჭირავს რომელიმე ზღვარი, ხოლო მტერი შეტევაზე გადმოდის. ამოცანაა-უკუქცეულ იქნას მტერი.

გარემოებისა და მოცემულ ამოცანის მიხედვით ათეულის უფროსი სწყვეტს, თუ როგორ მიმართოს ათეულის მოქმედება რომ უფრო კარგად შეასრულოს თავისი ამოცანა.

ამისთვის ის აძლევს ათეულს განკარგულებას წინსვლის შესახებ, უჩვენებს მიმართულებას, თუ რომელი პოზიცია დაიკავოს; სანიშნოების გამოჩენის დროს—უჩვენებს მანძილს და განკარგულებას აძლევს ცეცხლის მიცემის შესახებ, ხოლო, როცა საჭიროა სწყვეტს ცეცხლს. ერთი სიტყვით მეთაური სრულიად დამოუკიდებლად აკეთებს მანევრებს და განაგებს ცეცხლს. მეომრებს მოეთხოვება თავისი მეთაურის განკარგულებათა ზუსტად ასრულება, ადგილ-მდებარეობასთან შეხამება და მარჯვე სროლის წარმოება მოცემულ მიზნებზე.

მეთაურის ყოველი მოქმედება და განკარგულება, მის მიერ ცეცხლის წარმოების ცოდნა, მებრძოლთა მუშაობა და როგორც ყველაფერის შედეგი-მიზნების შემუსრვის რაოდენობა—ყველაფერი ეს მიიღება მხედველობაში შეფასების დროს. მაგრამ ათეულმა რომ პირველობის უფლება მიიღოს, საჭიროა, რათა ყველა აღნიშნული მოქმედება, როგორც მეთაურის, ისე მეომრის და აგრეთვე თავდასხმები,—შეფასებულ იქნან არა ნაკლებ, ვიდრე დამაკმაყოფილებელი.

პ.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ვეხმარებით სოფელს.

(მე-4-ხე ქართ. მსრ. ტერლეგ. მე-7-დე და მე-3-მე ტყვიამრფ. ასეული).

11 ივლისს ჩვენი ასეულები მთელი თავისი შემადგენლობით გაემგზავრენ სოფელ ოსიაურში.

მისვლისთანავე წითელ-არმიელთა სიმღერამ გამოაღვიძა სოფელი და ერთი საათის განმავლობაში, ჩვენთან თავი მოიყარეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როდესაც იცნეს წითელ-არმიელთა შორის სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი შვილები და მეზობლები. იქვე ორი გლეხი ესაუბრებიან ერმანეთს რომ „ეხლა ნიკოლოზის დრო არ არის, რომ სალდათი რუსეთში წაიყვანონ, ეხლა ჩვენი მთავრობაა.“ მისალმების შემდეგ წით. არმიელები ჯგუფ-ჯგუფად დაიშალენ სიმინდის გასათოხნათ.

ისმოდა თოხების ჩახუნი და მასთან ერთად ქართველი გლეხის სევდიანი სიმღერა. ყველანი სიამოვნებას გრძობდენ რომ მათ მიეცათ საშუალება გლეხებს დახმარებოდათ.

სამი საათის განმავლობაში ყველა დარჩენილი ყანები გაითოხნა და ათასეული დაეწყო გამოსამგზავრებლათ. უკანასკნელათ გლეხებმა მადლობა გამოუცხადეს, თუმცა მათი ერთათერთი ოჯახის მარჩენალნი გაწვეულია წითელ ყაზარმაში სოფლათ მუშაობის დროს მაგრამ მუშურ-გლეხური მთავრობას არ ავიწყდება გლეხები და ანგარიშს უწევს მათ ყოველ მხრივ. ამის შემდეგ ასეულები სამწყობრო სიმღერით გაემართენ თავთავიანთ ბინებისაკენ.

სამხკორი შ. ღვდელაძე.

## ჩვენთანაც სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა.

მე-5 ლეგიონის მე-2 ათასეული.

საბჭოთა ხელისუფლების გამოძახილს ერთხმად გამოეხმაურა ზუგდიდის და სენაკის მაზრის ახალგაზრდობა, დაბ. 1902 წ. რომელნიც იყვნენ ჩარიცხული ცვალებად შემადგენლობაში. ტერნაწილის შექმნა სინამდვილე შეიქნა ჩვენს ცხოვრებაში.

ჯარში გაწვევა არ იწვევს არავითარ წუხილს.

ყველა გაწვეულთა შორის სუფევს სიხარული და მოწადინებული არიან მეტი უნარიანობა გამოიჩინონ და მოემზადონ სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ დარგში. მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. დაარსდა რემედასის, საჰაერო ფლოტს და დობროქიმის უჯრედები. ცნობათა ბიურო დახმარებას აძლევს რჩევა დარიგებით ახლად გაწვეულთ მათ საჭირბოროტო საქმეზე. მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია, მათვის ეწყობა ცალკე პოლიტსაათი, სადაც საუბარი ხდება როგორც მეგრული ისე ქართულ ენაზე. მოწყობილია ზეპირ გაზეთის კითხვა. თითეულ ათ კაცს ყავს გამოყოფილი თავისი ორგანიზატორი, ამაში დახმარებას გვიწევენ ჩვენი მეთაურები.

სათანადო კადრი კომკავშირლებისა საშუალებას იძლევა პოლიტიკურ და კულტურულ დარგში მუშაობის გაფართოვებისა. გვაქვს გლეხობასთან კავშირი.

ამას წინეთ ერთ ღარიბ გლეხს ორი დესიატინა ყანა გაუთოხნეთ კვირაობის გამართვით.

აღსანიშნავია ზოგიერთ მოლაშქრეს განცხადება იმის შესახებ, თუ რა შიშით მოდიოდენ ისინი ტერნაწილში, რადგან მათ საბჭოთა ხელისუფლების მტრები საშინლად უხატავდენ ტერიტორიალურ ჯარს.

მაგრამ სინამდვილემ სულ წინააღმდეგი გვიჩვენა.

ჩვენ საშუალება გვეძლევა სამხედრო ბეგარა ჩვენს სახლში მოვიხადოთ. განა ამას რამე სჯობია? ტყუილა წუწუნებთ საბჭოთა ხელისუფლების მტრებო. თქვენ ნალაპარაკებს ხომ ხედავთ გასავალი არ აქვს. სინამდვილე სულ თქვენს წინააღმდეგ ლაპარაკობს.

ჩვენ ვერ აგვაცდენთ სწორ გზიდან. იცოდეთ რომ მუშა და გლეხის შვილები საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე მუდამ ფრთხილად ვიდგომებით.

წ. მ: კ. ჯანაშია.

## მეოთხე ტერ ლეგიონში.

3 ივნისს შესდგა მეოთხე ტერ ლეგიონის მე-6 ასეულის საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ, 2. სამხკორის და პარტკორის არჩევა და 3. მახლობელ სოფლის შეფობის ქვეშ აყვანა.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მოხსენება გააკეთა რაჭის მაზრის ფინ-განის გამგემ ამხ. ლონგინოზ მასხარაშვილმა, რომელმაც აღნიშნა ნიკოლოზის დროის და ეხლანდელ გადასახადთა შორის თუ რა განსხვავებაა.

შემდეგ მან აღნიშნა ის გარემოებაც, როცა აღწერის დროს ყალბ ცნობებს აწვდიდენ აღმწერს და მოუწოდა კრებას მომავალ სასოფლო-სამეურნეო აღწერის დროს ნამდვილი და სწორი ცნობები მიაწოდონ.

იყო შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს მომხსენებლისაგან.

პარტკორისა და სამხკორის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. გიორგობიანმა და განუმარტა კრებას მათი მნიშვნელობა, რის შემდეგ არჩეულ იქმნენ პარტკორათ ამხ. გ. ქუთაიანიძე და სამხკორად ამხ. გ. კერვალიშვილი.

შეფობის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგობიანმა. მან აღნიშნა თუ როგორ აკავშირებს შეფობა წ. ა. გლეხობასთან.

კრებამ საჭიროთ დაინახა თავის შეფობის ქვეშ აყვანა სოფ. ჭალის, როგორც კულტურულად უფრო ჩამორჩენილი სოფლის.

წ. ა. გ. კერვალიშვილი.

## მოვაწყვეთ საზაფხულო სცენა.

(მე 6 ე ლეგიონი).

ჩვენი ლეგიონი დიდ გაჭირვებას განიცდიდა კლუბის დარბაზის უქონლობის გამო.

შენობა გვაქვს, მაგრამ სრულიად შეუფერებელია. იმართებოდა წარმოდგენები, მაგრამ ვინაიდან შენობა პატარა იყო, ხოლო ხალხი კი ბლომათ გვყავდა ლეგიონის მთელ შემადგენლობას არ ქონდა საშვალება წარმოდგენებზე დასწრების.

ეხლა კი მოვაწყვეთ სცენა ყაზარმის ეზოში თავისუფალ ჰაერის ქვეშ. კვირას 12 ივლისს მოეწყო საღამო. წარმოდგენილ იქნა სანიტარული პიესა 1 მოქმედებათ, ერთი მოქმედებიანი რევოლიუციონური პიესა და ერთ მოქმედებიანი კომედია.

სრული სიწყნარე, რაც არაჩვეულებრივად უნდა ჩაითვალოს ჩვენს სინამდვილეში. ყველა თავისუფლათ დამსხდარან სუფთა და გაშლილ ჰაერში და ისე უყურებენ მოქმედებას.

პიესები კარგად ჩატარდა, რამაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი კმაყოფილება დასტოვა.

ბოლოს გაიმართა ცეკვა-თამაში რიგ რიგობით, ჯერ ითამაშენ ქართველებმა, შემდეგ რუსებმა, თათრებმა და გერმანელებმა.

საღამო დამთავრდა 12 საათზე.

კლუბის გამგეობის დადგენილებით სამშაბათს 21 ივლისს მოეწყობა ლენინის პალიანკების და კლუბის საზეიმო გახსნა. მოწვეულ იქნებიან სხვა და სხვა დაწესებულებებიდან წარმომადგენლები.

იმედია კლუბის გამგეობა ამ საღამოს ჩაატარებს ღირსეულათ.

სამხკორი მ. გ.

## 1-ლ მესანგრე ასეულის ცხოვრებიდან.

ორი თვის ბანაკად ყოფნამ დიდათ იმოქმედა ჩვენი ნაწილის წ. არმიელებზე. როგორც სპეციალური ნაწილი, მას საშუალება მიეცა ველად მოქმედებისა. ყველას ძლიერ აინტერესებს ყაზარმაში თეორიტიულად გავლილი საქმეები აქ, პრაქტიკაში გამოიყენონ.

განსაკუთრებით უმთავრეს როლს აქ თამაშობს ხიდეების აშენების და აფეთქების საქმე, გზების შეკეთება და გაყვანა, სანგრების აშენება და სხვა. ყოველ მესანგრემ უნდა იცოდეს, რომ მისი მოვალეობაა ზემო ჩამოთვლილი საქმეების კარგად შესწავლა.

პოლიტ-მომზადების საქმეც კარგად მიდის. ასეული დაყოფილია რამოდენიმე ჯგუფებად, რომლებსაც ყავთ ხელმძღვანელები. არის ცალკე გამოყოფილი რუს-გერმანელ წ. არმიელებთა ჯგუფი, მეცადინეობა სწარმოებს რუსულად.

სასკოლო მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. მოწაფე წ. არმიელები ცოდნის მიხედვით დაყოფილია სამ ჯგუფად, სადაც ყველანი ხალისით ეკიდებიან სწავლას.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენი კავშირი გლეხებთან.

მე-3-მე ლეგიონი.

ამას წინეთ ჩვენს ლეგიონს ესტუმრას ოფელ ბეკანიდან ოთხი ახალგაზრდა გლეხი, რომლებიც სოფლის მიერ იყვნენ გამოგზავნილი. მათ სურდათ გაეგოთ წ. არმიის ყოფა-ცხოვრება, და ეს აემბათ სოფლის გლეხებისათვის, ამისათვის ჩვენ წავიყვანეთ ისინი და გავაცანით წ. არმიელების ცხოვრება. ნახეს ლენ-კარვები; ყოველივე ნანახმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე. ისინი ესაუბრენ წითელ არმიელებს თავიანთ ჭირვარამზე.

ყოველ შეკითხვაზე გლეხები გარკვეულ პასუხს ღებულობდენ. ერთი ჩვენთაგანი შეეკითხა გლეხს თუ როგორი შეხედულებისაა ის ყოველივე ნახულის შემდეგ წ. არმიის ცხოვრების შესახებ.

პასუხი იყო ასეთი: „ნეტავი ასე სახლებში ვიყოთ მოწყობილიო“. მეორემ სთქვა: ნიკოლოზის დროს მე გამიგონია, რომ თურმე სალდათებთან “ოლნებს“ არ უშვებდენო. აგრეთვე მათ არ ქონდათ კავშირი მუშა და გლეხებთან და არც განვითარებით იდგენ მაღლაო, წ. კითხვის შესწავლაზე მათვის ხომ არავინ ზრუნავდა. დღეს, როგორც სჩანს, ყველაფერი აქვს წ. არმიელს.

გლეხები ჯერ ვერ იცნობენ კიდევ კარგად წ. არმიის ყოფა-ცხოვრებას. საერთოთ ჩვენი სტუმრები ძლიერ კმაყოფილი დაბრუნდენ სოფლად. ბიბლიოთეკაში გვქონდა საუბარი სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მათაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კამათში. სასურველია ასეთი მიმოსვლა ხშირი იყოს, რომელიც ხელს შეუწყობს წ. არმიის და გლეხობის კავშირის განმტკიცებას.

ს. გ—ა.

## ლენკუთხეების მუშაობა.

5 ტერ-ლეგიონის მე 3 მე ათასეული.

ჩვენს ათასეულში ცვალებადელების ჩამოსვლის თანავე იქნა დაარსებული ლენკუთხეები და არჩეული მაიი გამგეობა. კუთხეებში სწარმოებს ხმამაღალი გაზეთების და წიგნების კითხვა და წაკითხულის გარჩევა.

მართალია, ლენინის კუთხეები ღარიბულად არის მოწყობილი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის კუთხეების ენერგიულ მუშაობას. იმედი გვაქვს, რომ კუთხეების გამგეობა არ დაზოგავს თავის ენერგიას კუთხის უკეთ მოსაწყობად და ერთგულათ იმუშავებს მასზე დაკისრებულ საქმეში.

სამხკორი 121

## სასურველია გაზეთის თავის დროზე მიღება.

საარტილერიო მე-2-რე საგაუბიცო ბატარეის თითქმის ყოველ ყაზარმაში მოწყობილია წითელ-კუთხე, სამკითხველო. ერთი სიტყვით კულტურული მუშაობა აქ კარგათ მიდის ერთ ნაკლს რომ არ ჰქონდეს ადგილი. ყველა გაზეთები აქ მოდის დაგვიანებით დღის ორ-საათზე, რაც არ არის სასურველი. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება.

ნავრუზაშვილი.

## როგორ ჩავატარეთ წიგნის კვირეული.

(ჩვენი ბიბლიოთეკის საქმიანობიდან) 1-ლი ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში წიგნის კამპანიის ჩასატარებლად წინდაწინვე გამოყოფილი იყო რამოდენიმე პირისაგან შემდგარი კომისია.

კომისიამ კამპანიის ჩატარებაში ჩააბა მთელი ლეგიონის შემადგენლობა- 7 ივლისიდან ეწყობა ლენინის კარვების უფრო კიდევ გამშვენიერება, მისი ყვავილებითა და ცოცხალი ფოთლებით მოწყობა, ლენკარვებში წიგნების გამოფენა და სხვა. წიგნების გამოფენა სწარმოებდა 8.9—და შემდეგ დღეებს ბიბლიოთეკის მიერ, როგორც სამხედრო პოლიტიკური აგრეთვე ლიტერატურული და მრავალი სხვა, რამაც წითელი არმიელები დააინტერესა.

წითელ არმიელები სიხარულით ეკიდებოდენ ამ საქმეს და ყოველივე მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდენ. როგორც ასეულების ლენკარვებში, ისე ბიბლიოთეკაში სწარმოებდა ხმამაღალი კითხვა საუკეთესო წიგნებიდან თვით ბიბგამგისა და ასეულების ბიბლიოთეკების გამგეების მიერ.

უფ-პოლიტშემადგენლობის მიერ ჩატარებულ იქნა მოხსენებები ლენკუთხეებში წიგნის კვირეულის შესახებ და მის მნიშვნელობაზე.

კომისიის მიერ სწარმოებდა გაორკეცებული მუშაობა კარგი მკითხველთა გადასინჯვისა და მათი დასაჩუქრების შესახებ. კომისიამ ეს საუკეთესოთ მოაგვარა.

ლეგიონის ბიბგამგის ენერგიული მუშაობით გამოიცა კვირეულისათვის ლეგიონის კედლის გაზეთი „განათლება“. გაზეთი, უნდა აღინოს, რომ საუცხოვო სხარტათ და გასაგებათ არის დაწერილი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები კვირეულისა და წიგნის მნიშვნელობის შესახებ.

გაზეთი მეტად შინაარსიანია და გარეგნობით ძლიერ ლამაზი. უნდა აღინიშნოს, რომ დიდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ გაზეთის გამოშვებაში ლეგიონის სამხკორთა წრე.

14 ივლისს 6 საათზე გაიმართა საზეიმო საღამო.

ამ საღამოზე მოხსენება გააკეთა წიგნებისა და კვირეულის მნიშვნელობის შესახებ ლეგთავმა ამხ. მ. შავდიამ.

ამხ. შავდიას მოხსენების შემდეგ ბიბგამგე ამხ. ქ. ქავთარაძე კითხულობს სიას იმ წითელი არმიელებისას, რომლებიც საჩუქარზე იყვნენ წარდგენილნი. ყველა გულის ძგერით მოელის სიის წაკითხვას.

დასაჩუქრებული არიან: 1-ლ ასეულიდან ამხ. გიორგი კოპალეიშვილი, 2. სკოლიდან ამხ. გიორგი მაღულარია, 3. მეორე ასეულიდან ამხ. მინდიაშვილი კალისტრატე, 4. მესამედან ამხ. იოსებიძე სიმონ, 5. მეოთხედან ამხ. თურქაძე ვალერიანე, 6. მეხუთედან ამხ. აბულაშვილი ფორე, 7. მეექვსედან ღვალაძე შალვა, 8. მეშვიდედან. ამხ. ნიკოლეიშვილი თეოფინე, 9. მერვედან ამხ. ზანდარაშვილი ივანე, 10. მეცხრედან ამხ. სიაშვილი ილია, 11. საკავშირო ასეულიდან სარავა დავითი, 12. უმწყობროდან მამინგეიშვილი გრიგოლ, 13. ბატარეიდან ამხ. შანშიაშვილი თეირან, 14. შტაბიდან ჩაგელაშვილი ვასილი.

უსურვებ მეტ მონდომებას ამხანაგ წითელ არმიელებს. იმედია სხვა წითელი არმიელები ამ 14 ამხანაგებს მომავალში მიბაძვენ.

სამხკორი ს. იმნაიშვილი

# ახკომკავშირელთა შორის.

**მეთ. სამხ. სკოლის მე 3 ასეულში.**

11 ივლისს მეთაურთა სამხედრო სკოლის მესამე ასეულში შესდგა ა. ლ. კ. კ. ლია კრება. კრებას დაესწრო მთელი ასეულის შემადგენლობა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ყოფა-ცხოვრების საკითხი, 2. განცხადებების განხილვა და 3. მიმდინარე საკითხები, პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთეს კურსანტებმა, რომლებმაც ნათლად გააშუქეს კრების წინაშე ყოფა-ცხოვრების საკითხი. ამხანაგებმა აღნიშნეს ის უარყოფითი მხარეები. რომლებსაც ადგილი ქონია ჩვენს უჯრედში კავშირის წევრებთა შორის ძველ ტრადიციებისა და ჩვეულებების მხრივ და კრებას მისცეს ნათელი წარმოდგენა კომკავშირის მოვალეობაზე, თუ როგორი უნდა იყოს კომკავშირის წევრი, როგორი აღმზრდელობითი ხასიათი უნდა ქონდეს მას და რა მოვალეობას უნდა ასრულებდეს ის უპარტიო ახალგაზრდობაში. მომხსენებლებმა მისცეს დარიგება იმ ამხანაგებს, რომლებიც უხვევდენ კავშირის წესდებას და არღვევდნენ საერთო დისციპლინას.

კრებამ მოხსენება მიიღო ცნობად და სახელმძღვანელოდ.

შემდეგ კრება შეუდგა პარტიაში შემოსვლის მსურველთა განცხადებების განხილვას. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამხანაგები იქმნენ მიღებულ კავშირის რიგებში.

მიმდინარე საკითხში ბიურო კოლექტივის მიერ წამოყენებული იყო საკითხი, რომელიც ეხებოდა ბიუროს შემადგენლობაში შემავალ უფროსი კურსის კურსანტებს, რომელთა გამოშვება ხდება ამ მოკლე ხანში. ამისათვის კრებამ საჭიროთ ცნო არჩევა ისეთი ამხანაგებისა, რომლებიც გამოშვების შემდეგ ბიუროს „ხელმძღვანელობის გაწევას შესძლებდენ.

კრების მიერ არჩეული იქნენ ამხანაგები, რომლებიც მიმაგრებულნი იქნებიან ბიურო-კოლექტივზე მომავალ მუშაობისათვის სათანადო პრაქტიკის მისაღებად.

კურს. შ. ხეთელი.

# სანიტარული საათი.

15 ივლისს, ქართულ მეთაურთა სკოლის სამწ. გუნდში პირველად ჩატარდა სანიტ-საათი. წითელი არმიელები გულმოდგინეთ უსმენდენ აწხ. მომხსენებელს. წითელ მოლაშქრენი ძლიერ კმაყოფილი დარჩენ სანიტ-საათის ჩატარებით იყო ბევრი შეკითხვები. ძალიან კარგი იქნება, რომ სანიტსაათს ხშირად ჩაატარებდენ ჩვენს გუნდში.

წ. არმ. კ. ლუხუტისპირელი.

# სამნეო დარგი თავის სიმაღლეზე სდგას.

(მე-2 ლეგიონი).

მეორე ლეგიონის სამნეო ნაწილის მუშაობა ყოველთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

უკანასკნელ ხანებში ლეგიონის საერთო მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად, უმჯობესდება სამნეო დარგის მუშაობაც.

14 მაისს გავედით ბანაკად. უნდა აღინიშნოს, კერძი ყოველ დღეს სამნაირი კეთდება: მასთან კვირაში ორ-სამჯერ კეთდება ფლავი შაქრით და უშაქროთ კი ყოველ დღეს.

კვირაობით სადილის შემდეგ არის ტკბილეული ასე, რომ სურსათ-სანოვაგის მხრით წით. არმიელები უზრუნველყოფილი, კმაყოფილი და მოხარული არიან.

ყოველივე ეს სავსებით ჩვენი მნეს უნარიანობას უნდა მიეწეროს. ხშირად გაიგონებთ კმაყოფილი წით. არმიელებისაგან: „ჩვენი მნემ მალე უნდა დაგვირიგოს ხალათები, რადგან ძალიან ვსუქდებით და მალე იხევაო“.

მადლობა და პატივისცემა ჩვენი ლეგიონის მნეს, რომელსაც მიზნად დაუსახავს მე-2 ლეგიონის სამნეო ნაწილის წინსვლა.

ა. გუგუშვილი.

# ქალთა შორის მუშაობა.

(მე-3-მე ლეგიონი).

ივლის შესდგა მე-3-მე ლეგიონის ქალთა ორგანიზაციის ბიუროს სდხომა, რასაც დაესწრენ ყველა წევრები, დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: თავმჯდომარეს და მდივნის არჩევა, კავშირი და შეფობა და საერთო კრების დღის წესრიგის გამომუშავება. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ ქალები აღფრთოვანებით ხვდებიან ამ საქმეს და ყველას ხალისი აქვს მუშაობის. დღის წესრიგის ირგლივ იმსჯელა ბიურომ და გამოიტანა სათანადო დადგენილება.

საერთო კრების მიწვევა განზრახულია 12 ამა თვეს კვირას, სადაც გადასწყდება კავშირის და შეფობის საკითხი.

ამხ. ქალებს უსურვებთ გამარჯვებას იმ დიდ საქმეში.

ძალიან კარგს იზამდენ ჩვენი ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობის ქალები თუ ესტუმრებიან სოფლებს და იქ გამართავენ სხვა და სხვა საკითხებზე სჯა-ბაას, ეს დიდი გარდატეხას მოახდენს გლეხქალებში, რითაც განმტკიცდება ჩვენი კავშირი.

ამ კრებაზე ქალები გამოყოფენ თავიანთ წრიდან ორგანიზატორს, აქვე გადაწყდება აგრეთვე კრების მოწვევის დღის საკითხი და ლეგიონში წარმოებულ მუშაობაში აქტიურათ ჩაბმის საკითხი.

ამოცანა დიდი აქვთ ქალებს ამ დარგში და იმედია ისინი ამის შესრულებას შესძლებენ.

ს. გეგია.

# სპორტ წრე გამოცოცხლდა.

(სამხედრო პოლიტ სკოლა).

ჩვენს სკოლის სპორტ წრის მასწავლებელი არ ყავდა. ეს გარემოება ძალიან გვაწუხებდა.

რამოდენიმე ჯერ მივმართეთ სკოლის უფროს ამის შესახებ, მაგრამ ის გვაძლევდა პასუხს რომ ტფილისში არ არის ასეთი კაცი და როგორც კი ვიშოვნით მაშინვე ავიყვანთო. მაგრამ ეხლა ეს ნაკლიც გამოსწორდა. ერთ დღეს ასის თავმა გამოგვიცხადა, რომ რუსების ნაწილის სპორტ წრის მასწავლებელი გამაცადინებთო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ეხლა ყოველ დილას ვმეცადინეობთ.

კ. ჩიტაიშვილი

# სამხკორების საყურადღებოდ.

ამ წერილით გვინდა მივაქციოთ სამხკორების ყურადღება ერთ გარემოებას, რომელიც დღემდი თითქმის უყურადღებოთ არის დატოვებული.

საკითხი ეხება დივიზიის ნაწილებში არსებულ „რემედასის“ უჯრედების და მისი წევრების მუშაობის გაშუქებას გაზ. „წითელ არმიელ“-ში.

ამ ჟამად დივიზიის ყველა ნაწილებში არსებობს „რემედასის“ ორგანიზაცია, სადაც სწარმოებს მუშაობა და, თავის თავად ცხადია, რომ ყველა წითელ-არმიელისათვის საინტერესოა იცოდეს, თუ როგორ მუშაობს და რა ნაყოფით „რემედასი“-ს ორგანიზაცია ჩვენს წითელ ჯარში. ამ საკითხის შესახებ ზოგიერთ ნაწილების სამხკორების მიერ ან სულ არ დაწერილა რაიმე ან თუ დაიწერა ძალიან ცოტა.

ვინაიდან „რემედასი“ საგულისხმო და საყურადღებო ორგანიზაციაა, ამიტომ ამხ. სამხკორები აქაც მოიხდიან თავის მოვალეობას და მიაწოდებენ წერილებს გაზ. „წითელ არმიელს“ ნაწილების ცხოვრებიდან რემედასის შესახებ.

„რემედასის“ მე-2-ე დივ. კომიტეტი.

# ამბები სოფლებიდან.

**მგლების გამოჩენა.**

სოფელ ტოლას (ქვემო რაჭა) საზაფხულო საძოვრებზე გამოჩნდნენ მგლები, რომლებმაც უკვე იმსხვერპლეს ადგილობრივი გლეხების რამოდენიმე თავი საქონელი.

**აღმასკომის საქმიანობა.**

სოფ. ვანის (იმერეთი) მცხოვრებთა საერთო კრებამ დაადგინა შეუდგენ აღმასკომისათვის ახალი შენობის აგებას.

**სუსტი გლეხკომი.**

გორის მაზრაში ყველაზე უფრო სუსტ გლეხკომათ ითვლება კასპის გლეხკომი, ამიტომ სამ-გლეხკომმა დაადგინა გაგზავნოს იქ ინსტრუქტორი მუშაობის გამოსაცხოველებლათ.

**სატყეო მასალა გლეხებს.**

სოფ. მუხურის გლეხკომმა (შორ. მაზრა) აღძრა მიწ.-მოქმ. კომისარიატის წინაშე გლეხებისათვის შეღავათიან ფასებში სატყეო საშენი მასალის გაცემის შესახებ.

**მასწავლებელთა კურსები.**

სოფ. ბოდბეში (სიღ. მაზრა) გაიხსნა მასწავლებელთა 6 თვიანი გადასამზადებელი კურსები.

**ორი ათასი მანეთი სკოლებისათვის.**

თელავის აღმასკომმა გადასდო თელავის ქალაქის სკოლების შესაკეთებლათ ორი ათასი მანეთი.

# ახალი ამბები.

— **დახმარება სამხედო სკოლას.** ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის საჭიროებისათვის თბილ. აღმასკომმა გადასდო 500 მანეთი.

— **ჭლექის საექიმოთ.** ტფილისის ქალ. აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილებამ დაასრულა ჭლექის დისპანსერის მოწყობა, რომელიც ახლო მომავალში ზეიმით იქნება გახსნილი.

— **შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა** შეიმუშავა ძირითადი დებულებანი ხელისუფლების ცენტრალურსა და ძირითად ორგანოებს შორის ცოცხალი და წერილობითი კავშირის შესახებ.

**ინვალიდთა რიცხვი ტფილისში.** სოც. უზრუნველყოფის ტფილისის განყოფილებას აღრიცხვაზე აყვანილი ყავს სულ 1007 ინვალიდი.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევართა დამზღვევ განყოფილებამ ივნისის განმავლობაში გასცა დახმარებათ უმუშევრებზე 1.516 მანეთი.

— **საბინაო სექციის დახურვა.** ვინაიდან ბინებზე დიდი მოთხოვნილებაა და საბინაო სექციას კი არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება, აღმასკომმა დაადგინა დხუროს საბინაო სექცია.

— **მანგლისის მუშათა** მთლ. კოოპერატივს ტფ. აღმასკომმა სესხათ მისცა 10.000 მანეთი.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლის** გაძლიერების მიზნით თფილ. აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს ექიმ-ვეთალთა შტატი.

— **პარტსკოლების გამგეთა ყრილობა.** პოლიტგანყოფილების მთავარი სამმართველო აგვისტოს 1-ლი რიცხვებისათვის იწვევს პარტსკოლათა სრ. საქართველოს ყრილობას.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით ორიოდე სიტყვით თავი ვიმართლო იმ ბრალდებისაგან, რომელსაც მიყენებს მე-6-ე ლეგიონის „დამხ. სალაროს გამგეობა“ გაზეთ „წითელ არმიელი“-ს № 156-ში.

„შარშან მოკვდა და წლეუნდელს სტირიანო“ ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია გამგეობაზე. მე წერილი მოვათავსე გაზ. „წითელ არმიელ“-ში ერთი თვის წინათ და ეხლა მაძლევენ პასუხს.

ნუ თუ იმას უყურებდა, როდის გადმოგზავნიდა ათასეულში ფულს? მივიღეთ 8 ივლისს 70 მან. ამით თავს ვერ გაიმართლებს გამგეობა.

მე ვმსახურობდი მე-9-ე ასეულში, რომელიც იდგა ქ.№-ში, როგორც მე ისე სხვა ჩვენი ასეულის უფ შემადგენლობას 4 თვის განმავლობაში არავითარი დახმარებით უსარგებლნია, თუმცა ბევრჯელ მივმართეთ. მეორე კიდევ: ამხანაგი მითითებს თითქოს მე მესარგებლოს ფულით. საქმე ასე იყო. მე ვიყავი თბილისში მოვლინებული ერთი თვით, გამგეობას ვსთხოვე ერთი თვის ვადით 10 მანეთი, რამოდენიმე დღის ლოდინის შემდეგ მივმართე თავმჯდომარეს ამხ. მაჭავარიანს,— პასუხათ მივიღე „კასაში 700 მანეთი არის, ვინც გაიტან უკან აღარავის მოაქვსო“.

ივნისის თვის ბოლოში მომცეს 6 მანეთი და ოთხი დღის შემდეგ ისევ დამიკავეს და მე კი ერთ თვით მქონდა ნასესხები. ნუ თუ ამას დახმარებას უძახის სალაროს გამგეობა?

გამგეობა იხსენიებს მე-3 ათასეულს, მაგრამ მას ავიწყდება ათასეულის მე-9-ე ასეული.

გაუგზავნა თუ არა მას ფული?—არა. გამგეობას დღემდის ქონდა გადმოგზავნილი 50 მ. კასაში კი იყო 700 მან. ნუ თუ მეტი არ ეკუთნოდა?

დღეს ათასეულზე დაახლოვებით 90 მანეთი ირიცხება.

ეს ფული ძალიან მცირე არის ათასეულზედ. ჩვენ გვიხდება მუშაობა წერტებზე.

საჭიროა ყოველივე თავის შეცდომები გამოასწოროს გამგეობამ და ფული ნაწილდებოდეს უფრო მიზანშეწონილად და ერთი და იგივე პირი არ სარგებლობდეს რამოდენიმე თვეობით, როგორც დღეს ხდება.

დ. ჭანკვეტაძე.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები, კომ-პარტიაში წევრებად მიღების შესახებ კომკავშირის წევრებს: 1. ამხ. გრიგორი კობახიძეს, 2. გრიგორ ჩიტაიშვილს. რისთვისაც ქარ. სამხ. პოლ. სკოლის კომ-უჯრედი სთხოვს აცნობოს მას თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე.

კომ-უჯრედის პ. მ. მდივანი ვლად. კიკალიშვილი.

1-ლ ქართულ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მე 3 ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ უპარტიო წითელ არმიელებს:

1) ცინცაძე ამბროსი ნიკოლოზის-ძეს, 2) ლოლომაძე ვლადიმერი სიმონის-ძეს, 3) კაკაურიძე ამბერკი გიორგის-ძეს, 4) ლაცაბიძე გრიგორი ილიას-ძეს, 5) ჩხიკვაძე კონსტანტინე მელიტონის-ძეს და 6) ახ. ლ. კ. კ. წევრს პენკევიჩი ნიკოლოზი ვლადიმერის-ძეს.

გთხოვთ ვისაც აქვთ რაიმე ცნობა ზემო ჩამოთვლილ ამხანაგების უარყოფითი მხარეების შესახებ აცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში 1-ლ ქართულ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მესამე ბატარეის კომუჯრედის მდივანს.

მესამე ბატარეის კომუჯრედი.

ქართ. სამ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის წევრობიდან კ. პ. კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხ. ამხ. 1. ჩიტაიშვილი გიორგის 2. კობახიძე გრიგორს; კომ-პარტიის კანდიდატობიდან კ. პ. წევრად გადარიცხვის შესახებ: ამხ. ვასილ ჩომახიძეს და ამხ. დეთიკო სვანიძეს.

ქ. სამ. პოლ. სკოლის კომ-უჯრედი გთხოვთ გვაცნობოთ თუ ვისმეს გაქვთ უარყოფითი და საწინააღმდეგო ამ ამხანაგებზე 10 დღის განმავლობაში.

ქ. ს. პ. ს. კომ-უჯრედის პ.-მგ. მდ. ვლ. კიკალიშვილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. — სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.